სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030662351746721

04 / მაისი / 2021 წ. **თბილისი #06-76/ო**

C O V I D - 1 9 - ის საწინააღმდეგო აცრების წარმოებისთვის, ამცრელი დაწესებულების გზამკვლევის დამტკიცების შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის #107/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტის, „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს, ამცრელი დაწესებულების გზამკვლევი COVID-19-ის საწინააღმდეგო აცრების წარმოებისთვის (შემდგომში - გზამკვლევი), დროებითი რეკომენდაციები თანდართული დანართის შესაბამისად.

2. დაევალოს, ცენტრის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების და რეგიონული მართვის დეპატამენტს (ვლ.გეთია) უზრუნველყოს ამ ბრძანებით დამტკიცებული გზამკვლევის გაცნობა შესაბამისი დაწესებულებებისათვის.

3. დაევალოს, ცენტრის იურიდიულ სამმართველოს (ლ. ებანოიძე) უზრუნველყოს ამ ბრძანების განთავსება ცენტრის ოფიციალურ ვებ–გვერდზე – www.ncdc.ge.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5.ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი ‘‘**C O V I D - 1 9 -** ის საწინააღმდეგო აცრების წარმოებისთვის**,** ამცრელი დაწესებულების გზამკვლევის დამტკიცების შესახებ’’ ცენტრის გენერალური დირექტორის 2021 წლის 29 მარტის 06-56/ო ბრძანება.

6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე–12 კილომეტრი) ერთი თვის ვადაში.

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

გენერალური დირექტორი ამირან გამყრელიძე